ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2013 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 16 სექტემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N951; 16.09.2013) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:
ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი N14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი საავადმყოფოს შენობა, საკადასტრო კოდი N66.45.07.160) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N951; 16.09.2013) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები: მერაბ მენაბდე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2013 წ.

შესყიდვის საგანი:
სამინისტროს მიერ ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი N14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი საავადმყოფოს შენობა, საკადასტრო კოდი N66.45.07.160) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N951; 16.09.2013)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია	მინისტრის პირველი მოადგილე სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე	მინისტრის მოადგილე
- მურად აბლოთია	დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- გია ნაჭყებია	ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ამირან გოგიძე	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:
ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი N14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი საავადმყოფოს შენობა, საკადასტრო კოდი N66.45.07.160) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა ამირან გოგიძემ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2013 წლის 16 სექტემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში **(N951; 16.09.2013)** მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო წიდადადებები, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2013 წლის 25 სექტემბერს, 14:00 საათზე;
ელექტრონულ კონკურსში **(N951; 16.09.2013)** მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა;

1. **შპს „ბ.დ. ჯგუფი“**
2. **შპს „არინექსი“**

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია დალუქული კონვერტით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში - საკონკურსო წინადადების დაგვიანებით წარმოდგენას ადგილი არ ჰქონია. საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტის მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარემ გ. ფაცაციამ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები და სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. **შპს "არინექსი"- 8 575 (რვა ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი ლარი)** ლარი.
2. **შპს ,,ბ.დ. ჯგუფი" - 11 000 (თერთმეტი ათასი ლარი) ლარი;**

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავჯდომარემ აღნიშნა რომ, ვინაიდან საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, სადაც დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები:

- სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – 0,4;
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,6.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ ხოლო ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად, საკონკურსო წინადადების ეს ნაწილი შესწავლის მიზნით გადაეცეს სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ გადაწყვიტა:

1. კონკურსში მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება მოხდეს საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომაზე.
2. სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციის შესახებ.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები: მერაბ მენაბდე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია